ს ა ბ ა კ ა ლ ა ვ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი

პროგრამის დასახელება -საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა - 240 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი უდრის 30 საათს).

პროგრამის ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).

სწავლების ენა: ქართული

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც წარმატებით განახორციელებს პროფესიულ საქმიანობას ჯანდაცვის სისტემაში, კვალიფიციურად შეასრულებს შესაბამის ფუნქციას საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პროფილაქტიკური მედიცინის სფეროში და იზრუნებს შემდგომი პროფესიული დახელოვნებისთვის, რაც სავსებით შეესატყვისება თსსუ-ის დეკლარირებულ მისიას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობა განისაზღვრა სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებლობით ისეთი სპეციალისტების მოსამზადებლად, რომელთა კომპეტენცია დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი და სამუშო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებთან ერთად, უფრო მეტადაა აქცენტირებული ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მართვის თანამედროვე პრინციპებზე, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ქმედითუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით.

საბაკალავრო პროგრამის შემუშავება მოხდა ფრანგი სპეციალისტების ჩართულობით. პროგრამა ჯანდაცვის მართვის საკითხებთან დაკავშირებული

დისციპლინებისა და ფრანგული ენის სასწავლო კურსის დამატების შემდეგ ამოქმედდა საფრანგეთის მხარის თანამონაწილეობით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის, ევროპული გამოცდილების საფუძველზე, კვალიფიციური კადრის მომზადების და ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის სრულფასოვანი განვითარებისათვის. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის გაიცემა საფრანგეთის კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომიც.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საგანმანათლებლოპროგრამის განხორციელების საფუძველი არის ხელშეკრულება, დადებული თსსუ-სა და მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია ,,უნიმენი"-ს ("უნიმენი") შორის, რომლებიც, საქართველოსა და საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, არიან უფლებამოსილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და აქვთ შესაძლებლობა და ნება განახორციელონ საგანმანათლებლო საქმიანობა, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, კვლევითი ფონდების ორმხრივი გამდიდრებისა და კვლევების რეალიზაციის მიზნით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საქართველოს მოქალაქეებისთვის – სრული ზოგადი განათლების ატესტატი; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები თსსუ-ის მიერ დადგენილი და სათანადოდ გამოცხადებული საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. პროგრამაზე უცხოეთის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

საგნები, მათი პრიორიტეტულობა და კოეფიციენტები განისაზღვრება პროგრამის შესწავლის დაწყებისათვის აუცილებელი ცოდნის დონით. საგნები და მათი კოეფიციენტები შეიძლება შეიცვალოს პროგრამის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შესაბამისად და ქვეყნდება ყოველწლიურად, დადგენილი წესის მიხედვით.

საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ცნობარსა და თსსუ-ის ვებგვერდზე.

სწავლის შედეგები

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სწავლება I, II, III სემესტრებში მიმდინარეობს მონოციკლურად, ხოლო IV, V, VI, VII, VIII სემესტრებში - კურაციული სისტემით. გეგმა აერთიანებს: ფუნდამენტურ და ბიოსამედიცინო მეცნიერებათა, პრეკლინიკურ, კლინიკურ, სოციალური მეცნიერებების და პროფილურ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. ითვალისწინებს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და მოიცავს ძირითადი სპეციალობისა და პროფესიული სპეციალიზაციის 180 კრედიტს (მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსების 20 კრედიტს) და ზოგადი კომპონენტისა და კვლევის 60 კრედიტს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კომპლექსური პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისთვის მიღებული ცოდნისა და სათანადო მეთოდების გამოყენება; სამეცნიერო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გამოყენება, მონაცემების ინტერპრეტაცია, დაკვირვების შედეგად მტკიცებულებების დაგროვება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოყენება მონაცემების ანალიზისთვის; პროფილური, კლინიკური, ბიოსამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნის ინტეგრაციით მოსახლეობისა და გარემოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესება; პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად ბიოსტატისტიკის მეთოდებისა და პროგრამული ბაზების გამოყენება, პროფესიული ცოდნის გამოყენებით საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობით გათვალისწინებული დარგობრივი და მომიჯნავე ნორმატიული აქტების შესაბამისად. ბიოსამედიცინო და ბიზნეს-ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ადმინისტრაციული, ეპიდემიოლოგიური და სხვ. გარემოებების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და მდგომარეობის მრავალფაქტორული შეფასება. უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს, ითვალისწინებს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და ამ მიზნით ლექციების, სემინარების, კოლოქვიუმების, ლაბორატორიული სწავლების, კლინიკურ გარემოში სწავლების, პრეზენტაციების გამოყენებას, სწავლებას სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით, დისკუსიას, დებატებს, მონაცემთა ანალიზს, ჯგუფურ მუშაობას, სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობას, პროექტის დამუშავებასა და წარმოდგენას.

სტუდენტთა მიერ პროფესიული კომპეტენციების ათვისება წარიმართება პოტენციური დამსაქმებლის - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანამონაწილეობით.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებიდან თითოეული ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს და, ამასთან, წარმოადგენს წინაპირობას "მემკვიდრე" სასწავლო კურსის ათვისებისთვის. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსების მემკვიდრეობითი პრინციპით სწავლებას, ფუნდამენტურიდან – მაპროფილებელამდე. პრერეკვიზიტული და მემკვიდრე დისციპლინების სწავლება არ ხდება პარალელურ რეჟიმში, მათ შორის - არც საგნის განმეორებითი მოსმენის დროს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი შეესაბამება სათანადო მარეგულირებელი წესების და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესახებ; ითვალისწინებს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. სტუდენტის შეფასების კომპონენტები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოიცავს შუალედურ შეფასებას 60 ქულის ფარგლებში (სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების: სტუდენტის აკადემიური აქტივობა, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია და სხვ. მიხედვით მიღებული ქულათა ჯამი) და დასკვნითი გამოცდის შეფასებას 40 ქულის ფარგლებში.

პროგრამის მიხედვით, შუალედური შეფასებების მეთოდები/ნაწილები, კრიტერიუმები და მათი წილი სხვადასხვა საგანში განსხვავებულია და შეესაბამება საგნის

ეფექტური სწავლების ინტერესს. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა (შუალედური შეფასების მინიმუმ 31 ქულა).

საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები, რომლებისგანაც წარმოებულია საგამოცდო ტესტები/ბილეთები, სტუდენტებს ეცნობება წინასწარ. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) დაგროვების შემთხვევაში.

საგამოცდო შეფასების გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს აქვს ამ შეფასების გასაჩივრების უფლება, დადგენილი წესით. ძირითად და დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სხვა კომპონენტებით დაგროვილი ქულების მიუხედავად, სტუდენტი კრედიტს ვერ იღებს.

საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 შესაბამისად.

შეფასების სისტემა სტუდენტის მიერ მიღებული ყველა კომპონენტით ითვალისწინებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A) ფრიადი - 91-100 ქულა.

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა.

(C) კარგი - 71-80 ქულა.

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა.

(E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის საგნის შესწავლის დაწყებისთანავე (ეცნობებათ პირველივე ლექცია-პრაქტიკუმზე, განთავსებული იქნება სასწავლო დეპარტამენტებში თვალსაჩინო ადგილას).

სტუდენტთა შეფასება რეგულირდება სტუდენტის აკადემიური მიღწევების შეფასების მარეგულირებელი შიდასაუნივერსიტეტო ნორმატივით.

სწავლისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

„საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ხდება შესაბამისი დეპარტამენტების, საუნივერსიტეტო კლინიკებისა და პროფილურ დაწესებულებათა ბაზებზე, რომლებიც ფლობენ რესურსს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს აქვთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა სამაგისტრო პროგრამებზე, შემდგომ კი – სადოქტორო პროგრამებზე. საგანმანათლებლო პროგრამაში

დასახული კომპეტენციების თანმიმდევრული განვითარება ხელს უწყობს მათ დასაქმებას ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებში, აგრეთვე, საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ მომსახურებასთან, მენეჯმენტთან, ასევე, სურსათის ეროვნულ სააგენტოში და მის სტრუქტურულ ერთეულებში.